დანართი №2

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

ფილოსოფია

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
03-04.11.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

21.12.2022

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 6

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 14

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 33

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 43

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 49

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 64

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე	გიორგი თავაძე, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი	თამარ ცოფურაშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი	ნიკოლოზ ალექსიძე, შპს თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი	ანი ქვათაძე, შპს ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი	გიორგი არქანია, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7	პროგრამა 8
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფილოსოფია	ფილოსოფია						
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა						
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოსოფიაში	ფილოსოფიის მაგისტრი						
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფილოსოფია და ეთიკა - 0223	ფილოსოფია და ეთიკა - 0223						
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-	-						
სწავლების ენა	ქართული	ქართული						
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120						

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

[3] (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული	აკრედიტებული						

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[4]**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ „ფილოსოფია“ აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები №47; 23.09.2011), ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ „ფილოსოფია-რელიგიის კვლევები“ - 2016 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები №126; 29.08.2016). 2020 წელს დაიწყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საგანმანათლებლო პროგრამების რეაკრედიტაციისთვის მომზადება, რომლის პროცესში, კლასტერში გაერთიანებულმა პროგრამებმა განიცადეს მოდიფიკაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ ნ ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ კომპეტენციების აღმწერის და ამ ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“, აკრედიტაციის სტანდარტების და უმაღლესი განათლების ფილოსოფიის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.

პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში ეროვნული კვალიფიკაცების ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით პროგრამის სამუშაო ჯგუფმა მოამზადა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფილოსოფია“. შესაბამისად, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციები განისაზღვრა განახლებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორში დეტალური სფეროს „0223 ფილოსოფია და ეთიკა (Philosophy and Ethics)“ შესაბამისი სწავლის სფეროების მიხედვით: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოსოფია“ მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოსოფიაში“, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოსოფია“ - „ფილოსოფიის მაგისტრი“.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 2 22 0001324968 19/10/2022 ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: გიორგი თავაძე (თავმჯდომარე); ნიკოლოზ ალექსიძე(წევრი), თამარ ცოფურაშვილი (წევრი), ანი ქვათაძე (წევრი), გიორგი არქანია (წევრი), 2022 წლის 3-4 ნოემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფილოსოფიის” საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე. სააკრედიტაციო ვიზიტის მუშაობაში ექსპერტები ნიკოლოზ ალექსიძე, თამარ ცოფურაშვილი და ანი ქვათაძე დისტანციურად ჩაერთნენ. სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით და შეფერხებების გარეშე. ვიზიტის პროცესში დაწესებულების მხრიდან ექსპერტთა ჯგუფის მიმართ არსებობდა კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი დამოკიდებულება.

[4] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

რეკომენდაციები

კლასტერული

- რეკომენდებულია, რომ კლასტერში შემავალი ორივე პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს დარგის უახლეს მიღწევებს. რეკომენდებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა და ლექტორებმა განაახლონ სასწავლო მასალა ახალი თარგმანების და ლიტერატურის გათვალისწინებით. შესაბამისად, საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი საჭიროებს უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით განახლებას.
- დაიხვეწოს შეფასებითი კომპონენტებისათვის ხვედრითი წილის მინიჭების წესი, რათა გამოირიცხოს სხვადასხვა სირთულის კომპონენტებისთვის (მაგალითად, დისკუსია და პრეზენტაცია) ერთნაირი ხვედრითი წილის მინიჭება.
- რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის განმახორციელებელ თითოეულ პერსონალს უწყვეტად გაუზიაროს როგორც თავიანთი ინდივიდუალური შეფასებები, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოყენებული შეფასების შედეგების შესახებ ერთიანი ანგარიში.

პროგრამული

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამა

- იმისთვის, რომ კურსდამთავრებულს შეეძლოს ორიგინალი ტექსტების (იგულისხმება მათი ქართული თარგმანები) განხილვა და მათზე კომპეტენტურად მსჯელობა, რეკომენდებულია ძირითად ლიტერატურაში პირველწყაროების შეტანა (ასევე, უახლესი ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის: სტატიები, კრებულები, მონოგრაფიები და ა.შ.) და სასემინარო მუშაობა უნდა გულისხმობდეს ამ წყაროების ნაწილობრივ ანალიზს მაინც.

- განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული დარგობრივი ლიტერატურით.

- სასწავლო კურსები „რელიგიათმცოდნეობა“ და „ორატორული ხელოვნება“ გადატანილი იქნეს არჩევით საგნებში; სოციალურ და პოლიტიკურ ფილოსოფიაში უფრო ფუნდამენტური განათლების მისაღებად სავალდებულო საგნებს დაემატოს სასწავლო კურსი „პოლიტიკური ფილოსოფია“.

- განივრცოს და განახლდეს ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი შემდეგ სასწავლო კურსებში: „აღმოსავლური ფილოსოფია“, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, „შუა საუკუნეების ფილოსოფია“, „რელიგიის ფილოსოფია“, „ახალი დროის ფილოსოფია“, „სოციალური ფილოსოფია“, „სიცოცხლის ფილოსოფია“, „XX

საუკუნის ფილოსოფია“, „ნეოპლატონიზმი“, „ცნობიერების ფილოსოფიური თეორია“.

- სასწავლო კურსში „აღმოსავლური ფილოსოფია“ თემაში „დეკონსტრუქცია“ გაიწეროს სათანადო ლიტერატურა.

- სასწავლო კურსში „შესავალი ფილოსოფიაში“, თემები „ფილოსოფიური თეორიები: მატერიალიზმი და იდეალიზმი“, „ობიექტური და სუბიექტური მატერიალიზმი“, „გულუბრყვილო–სტიქიური მატერიალიზმი“ ჩანაცვლდეს თანამედროვე ფილოსოფიურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული თემებით.

- სასწავლო კურსში „ფილოსოფიის სისტემურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“, თემა - „სიცოცხლის ფილოსოფია“ ჩანაცვლდეს კურსის შესაბამისი თემით. თავად კურსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს მეცნიერების ფილოსოფიის თანამედროვე ტენდენციებთან.

- სასწავლო კურსში „ეთიკა“, თემები - „მანკიერებისა და გადმონაშთის ცნება; კლასობრივი ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბება“; „ზნეობის კლასობრიობის პრინციპის დასმისა და გადაწყვეტის ალტერნატივები“ ჩანაცვლდეს თანამედროვე ეთიკური ტენდენციების ამსახველი თემებით.

- სასწავლო კურსიდან „ესთეტიკა“, თემები - „ესთეტიკურის ძიება ანტიკურ ფილოსოფიაში; ქართული მითოლოგიური ესთეტიკის საკითხები“; „ქართული ნეოპლატონისტური ესთეტიკის საკითხები“; „სამყაროს სტრუქტურის ესთეტიკური პრინციპები ქართულ ნეოპლატონიზმში“ და „რენესანსის ხანის მხატვრული აზროვნების საკითხები საქართველოში; რუსთველის ესთეტიკური შეხედულებანი“ გადატანილი იქნეს სასწავლო კურსში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ან ქართული თემატიკის რაოდენობა შემცირდეს ერთ თემამდე და დანარჩენი თემები დაეთმოს თანამედროვე ესთეტიკის აქტუალური პრობლემების განხილვას.

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა

- რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა/თანახელმძღვანელებმა უზრუნველყონ მაგისტრანტების მიერ აკადემიური წერის შესაბამისი სტანდარტების და ხარისხის სამაგისტრო ნაშრომების მომზადება. კერძოდ, შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ბევრად უფრო მკაცრი მექანიზმი. უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომები აკადემიური წერის ნორმებს.
- რეკომენდებულია, რომ უსდ-მ განავითაროს ხელმძღვანელების საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, რაც ხელმძღვანელობის პროცესს უფრო ეფექტურს გახდის.

- სასწავლო კურსი „რელიგია და კულტურა“ გადატანილი იქნეს არჩევით საგნებში.

- განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით.

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად, პირველადი წყაროები დაემატოს შემდეგ კურსებს „სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფიური კვლევის ასპექტები“, „არეოპაგიტიკა“; „ჰუმანიზმის ფილოსოფია“; „ჰერმენევტიკა“; „სქოლასტიკა“, „გერმანული კლასიკური ფილოსოფია“, „აღმოსავლური აზროვნება“, „ისტორიის ფილოსოფია“, „თანამედროვე ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები“; „ანტიკური ეპოქის ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი პრობლემები“; „ქართული ფილოსოფიურ-ესთეტიკური კონცეფციები“.

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად, გადაიხედოს სასწავლო კურსის „მეცნიერების ფილოსოფია“ შინაარსი.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერული

- სასურველია, ორივე სასწავლო საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები, კერძოდ, შებრუნებული საკლასო ოთახის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, პროექტზე დაფუძნებული სწავლების და სხვა ჯგუფური მუშაობის წამახალისებელი მეთოდები.
- უსდ-მ უფრო მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს საერთაშორისო პროექტებში და მობილობაში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით.
- უსდ-მ უნდა შექმნას უფრო მეტი ელექტორნული რესურსი სტუდენტებისთვის, უპირველეს ყოვლისა - სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებული მასალების ელექტორნული ვერსიები.
- გაიზარდოს ასისტენტ-პროფესორების რაოდენობა კლასტერში წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებში, რათა ხელი შეეწყოს ახალგაზრდა მეცნიერთა კარიერულ განვითარებას და მათ ინტეგრაციას პროგრამებსა და კვლევით საქმიანობაში.
- გარე, კოლეგიური შეფასებების ობიექტურობისა და გამჭვირვალობისთვის, სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავოს სტანდარტული გარე შეფასების ფორმა, რომელიც ყველა გარე შემფასებელ კოლეგას საშუალებას მისცემს ერთნაირი კრიტერიუმებით განახორციელოს შეფასება.
- სასურველია ანალოგიური პროგრამების შედარებითმა ანალიზმა მოიცვას მოცემულ უნივერსიტეტებთან შედარების შედეგად გამოყენებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებიც.
- პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია უსდ-მ ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზისას გამოიყენოს უცხოური უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკაც.

- ინტერნაციონალიზაციის მხრივ პროგრამებს უფრო მეტად ესაჭიროება გაძლიერება (კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობა და ა.შ.).

პროგრამული

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამა

- სასურველია, რომ გაიზარდოს უცხო ენების კრედიტების მოცულობა თავისუფალ კომპონენტებში.
- საბაკალავრო პროგრამაში დამატებული იქნას სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი.

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა

- სასურველია, დამატებით ლიტერატურაში თანამედროვე უცხოურენოვანი სტატიების რაოდენობის გაზრდა.
- სასურველია, სპეციალობაში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საკითხების წინასწარ გამოქვეყნების ნაცვლად, უსდ-მ გამოაქვეყნოს ის ლიტერატურა/სახელმძღვანელო, რომელსაც უნდა გაეცნონ აპლიკანტები გამოცდის ჩასაბარებლად და საიდანაც იქნება შერჩეული საგამოცდო საკითხები.
- სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებისას მეტი ყურადღება იქნეს მიქცეული აკადემიური ლიტერატურის დამოწმების წესზე.
- სასურველია, უფრო ქმედითი ღონისძიებები გატარდეს პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გასაზრდელად.
- პროგრამის სამომავლო განვითარების კუთხით ყურადღება გამახვილდეს ბიბლიოთეკის რარიტეტული წიგნების განყოფილებაში არსებული ნაშრომების შესწავლაზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხებოდა კლასტერისთვის და ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამისთვის გაცემულ რეკომენდაციებს. დაწესებულება დაეთანხმა ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით ესპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას კლასტერისთვის და ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამისთვის გაცემულ რეკომენდაციებთან მიმართებით: 1. რადგან რიგ შემთხვევებში დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებულია, რომ შესაბამისი ღონისძიების განხორციელება მომავალში მოხდება („სასწავლო კურსების სპეციფიკურობის გათვალისწინებით მოხდება შეფასების სისტემის გადახედვა აქტივობის კომპონენტში შეფასების ფორმების ხვედრით წილთან მიმართებაში“; „სავალდებულო ლიტერატურაში დამატებული იქნება დამხმარე სახელმძღვანელო“ და ა.შ.); 2. რადგან ზოგიერთ შემთხვევაში არგუმენტირებული პოზიცია არ არის სათანადო არგუმენტებით გამყარებული.

- მაგალითად, რეკომენდაციაზე „სასწავლო კურსში „შესავალი ფილოსოფიაში“, თემები „ფილოსოფიური თეორიები: მატერიალიზმი და იდეალიზმი“, „ობიექტური და სუბიექტური მატერიალიზმი“, „გულუბრყვილო–სტიქიური მატერიალიზმი“ ჩანაცვლდეს თანამედროვე ფილოსოფიურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული თემებით“, დაწესებულების პოზიცია ასეთია: „მიუხედავად რეკომენდაციაში მითითებული ტერმინების კონცეპტუალური შეზღუდულობისა, ვფიქრობთ, რომ იდეალიზმი, მატერიალიზმი, გულუბრყვილო სტიქიური მატერიალიზმი, სუბიექტური და ობიექტური, შეიძლება ფუნქციონირებდეს ფილოსოფიის ისტორიულ ღირებულებათა ველში.“ თუკი აღიარებულია აღნიშნული ტერმინების კონცეპტუალური შეზღუდულობა და ის, რომ მათ ისტორიული ღირებულება აქვთ, მაშინ გაუგებარია, რატომ უნდა დარჩნენ ისინი ფილოსოფიის შესავლის სასწავლო კურსში, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულმა კურსმა სტუდენტს **თანამედროვე** ფილოსოფიისა და მისი კონცეპტუალური აპარატის შესახებ აქტუალური ინფორმაცია უნდა გადასცეს.
- სასწავლო კურსთან „ესთეტიკა“ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა რეკომენდაცია, რომ ესთეტიკის შესავალ კურსში შემცირებული ყოფილიყო ქართული ესთეტიკური ისტორიის საკითხები (რადგან კურსს ეწოდება „ესთეტიკა“ და ესთეტიკის შესავალს წარმოადგენს, მაგრამ სასწავლო კურსში 4 თემა ეთმობა ქართული ესთეტიკის ისტორიას) და უფრო მეტი ადგილი დათმობოდა თანამედროვე ესთეტიკის აქტუალური პრობლემების განხილვას, ხოლო მოცემული საკითხები, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქართული ფილოსოფიის ისტორიის კურსში ყოფილიყო გადატანილი. დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, „ესთეტიკის კურსში ქართული თემატიკის სიჭარბე დასაშვებია, როცა ისინი

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

წარმოდგენილია, როგორც მასალა და არ აზარალებს ესთეტიკის შინაარსსა და მოცულობას.“ მოცემულ პოზიციას ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს, რადგან მიაჩნია, რომ ამგვარად პრობლემური ხდება იმ მიზნებზე გასვლა, რაც მოცემული სასწავლო კურსის მიხედვითაა გაწერილი (ესთეტიკური აზროვნების განვითარების ისტორიული პერიოდებისა და თეორიების, ესთეტიკის კატეგორიების, ესთეტიკური ღირებულებების, ხელოვნების თეორიების, აქსიოლოგიური პრობლემების და სხვ. შესწავლა).

- რეკომენდაციაზე „განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული დარგობრივი ლიტერატურით“, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია შემდეგია: „უნივერსიტეტში მუდმივად ხდება წიგნადი ფონდის განახლება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, მათ შორის ფილოსოფიის მიმართულებით და განახლების პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.“ მიუხედავად ამისა, საბაკალავრო დონეზე სილაბუსების შესწავლის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა მიუთითა, რომ არსებობს სილაბუსების უახლესი ლიტერატურით განახლების საჭიროება, რადგან ისინი არაა მითითებული ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[6]
2. კლასტერული შეფასება[7]

სტანდარტი/კომპონენტი	**შეფასების მიდგომები**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური

[6] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[7] **შეფასების მიდგომები: <u>საჭიროების შემთხვევაში</u>** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად, ისინი ითვალისწინებს სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას. გარდა ამისა, პროგრამაში ჩამოყალიბებული მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ფაკულტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას და საჯაროდ ხელმისაწვდომია. კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების მიზნებში ნათლადაა ჩამოყალიბებული, თუ რა ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ისახავს მიზნად მოცემული საგანმანათლებლო პროგრამა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)[8]

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს, მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და სტუდენტებს შეასწავლოს ფილოსოფიის განვითარების ისტორიული ეპოქები (ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი დროისა და უახლესი), ძირითადი ფილოსოფიური მიმდინარეობები, ფილოსოფიური სისტემები და სხვადასხვა ფილოსოფოსთა შეხედულებები;

[8] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

ფილოსოფიური ცნებები და კატეგორიები; ფილოსოფიური ცოდნის სფეროები (მეტაფიზიკა, გნოსეოლოგია, სოციალური ფილოსოფია, და ა.შ.); სტუდენტებისთვის სამყაროს შემეცნების, ადამიანის ადგილისა და ღირებულებების განსაზღვრის, ყოფიერებისა და სოციალური სამყაროს უზოგადესი კანონების გაგებისა და ახსნის შესაძლებლობების განვითარება; მათთვის ფილოსოფიური პრობლემების კრიტიკული განხილვისა და ანალიტიკური აზროვნებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის დაცვის ნორმების ჩამოყალიბება.

აღნიშნული მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად და ასახავს, თუ რა ცოდნისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ესწრაფვის პროგრამა; ისინი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასა და ფაკულტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმასთან და საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. გარდა ამისა, დასახული მიზნები რეალისტური და მიღწევადია და ისინი ითვალისწინებს სწავლების საფეხურისა და სწავლების სფეროს თავისებურებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- უნივერსიტეტის მისია
- პროგრამის კურიკულუმი
- ინტერვიუს შედეგები
- შრომის ბაზრის კვლევა

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს, მისცეს სტუდენტებს სიღრმისეული და სისტემური ცოდნა ანტიკური და შუა საუკუნეების, თანამედროვეობის ფილოსოფიური იდეების, მიმდინარეობების და მათი წარმომადგენლების; ფილოსოფიის პრობლემური საკითხების, კვლევის მეთოდებისა და ტენდენციების შესახებ; განუვითაროს სტუდენტებს რეფლექსიის, ფილოსოფიურ პრობლემებზე მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების, სხვადასხვა თეორიების შეპირისპირების გზით დიალოგის წარმართვის უნარი; ჩამოუყალიბოს მათ ფუნდამენტური ფილოსოფიური ტექსტების კითხვისა და ინტერპრეტაციის უნარი სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვისა და განსხვავებული აზრისადმი პატივისცემის პრინციპები.

პროგრამის მიზნებში ასახულია, თუ რა ცოდნისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ესწრაფვის პროგრამა; ისინი ჩამოყალიბებულია ნათლად და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ფაკულტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას და საჯაროდ მისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. გარდა ამისა, დასახული მიზნები ითვალისწინებს სწავლების საფეხურისა და სწავლების სფეროს თავისებურებებს, მათი განხორციელება რეალისტურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- უნივერსიტეტის მისია
- პროგრამის კურიკულუმი

- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები: კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევ(ებ)ი: მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევ(ებ)ი: მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება [9]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐

[9] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავროს და სამაგისტროს) სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ნათლად, მიღწევადია და შეესაბამება კლასტერში შემავალი პროგრამების მიზნებსა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს; ასევე, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ სწავლის სფეროს შინაარსს და ფილოსოფიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავდა ყველა დაინტერესებული მხრის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართულობით, გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის მოთხოვნები და პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები. საგანმანათებლო პროგრამების სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და იძლევა შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. სწავლის შედეგებში, ამავდროულად, გათვალისწინებულია ის გამოცდილება, რაც პროგრამების ფუნქციონირების პერიოდში დაგროვდა.

მიუხედავად ამისა, სასურველია, რომ კლასტერი უფრო მეტად ითვალისწინებდეს სფეროს განვითარების ტენდენციებსა და საერთაშორისო დონეზე არსებულ საუკეთესო პრაქტიკას. სასურველია, რომ სწავლის შედეგად, ბაკალავრიც და მაგისტრიც, იყოს კონკურენტუნარიანი საერთოეროვნული მასშტაბით, რისთვისაც აუცილებელია სასწავლო მასალის განახლება: კერძოდ, უახლესი საერთაშორისო თუ ადგილობრივი სამეცნიერო პუბლიკაციების, ასევე, ფილოსოფიური ტექსტების უახლესი ქართულენოვანი თარგმანების ინტეგრირება სასწავლო მასალებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)

პროგრამის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტს, რომ შეიძინოს ფართო ცოდნა ფილოსოფიის ისტორიის,

დარგების, ძირითადი მიმართულებებისა და სკოლების, ეპოქალური და პარადიგმატული საფუძვლების, სხვადასხვა ფილოსოფიური თეორიის, ცნებისა და კატეგორიის, დასავლური და აღმოსავლური ფილოსოფიის მნიშვნელოვანი ტრადიციების შესახებ; ასევე სტუდენტს შეეძლება, განსაზღვროს ფილოსოფიის სპეციფიკა, მისი განსხვავება კულტურის სხვა ფენომენებისაგან.

მიუხედავად ამისა, სადავოა, თუ რამდენად განიხილავს პროგრამა „სხვადასხვა ეპოქის ფილოსოფოსების ფუნდამენტურ შრომებს და მათ ინტერპრეტაციებს“, როგორც ეს არის მითითებული ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად. წარმოდგენილ სილაბუსებში, განსაკუთრებით ფილოსოფიის ისტორიის საგნებში, არ ჩანს, რომ სტუდენტები ეცნობიან და განიხილავენ პირველწყაროებს, რაც აუცილებელია ფილოსოფიის ბაკალავრებისთვის. რჩება შთაბეჭდილება, რომ ფილოსოფიის ბაკალავრის დიპლომი სტუდენტმა შეიძლება მიიღოს ისე, რომ არ ჰქონდეს წაკითხული ორიგინალი ტექსტების ქართული თარგმანები. ეს ლიტერატურა მითითებულია მხოლოდ დამატებით ლიტერატურაში და შემდეგ არ ჩანს, თუ რამდენად ხდება მათზე მუშაობა.

პროგრამის დასრულების შედეგად გამომუშავებული დანარჩენი უნარები ნათლადაა ჩამოყალიბებული და პროგრამა იძლევა ამ შედეგების მიღწევის საშუალებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, სამაგისტრო)

პროგრამის შედეგები ჩამოყალიბებულია ნათლად და შეესაბამება სტანდარტებს. თუმცა გვაქვს ორი პრინციპული შენიშვნა:

ერთ-ერთ შედეგად დასახელებულია შემდეგი:

„პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: იცავს პროფესიულ ეთიკას და ეფუძნება აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებს კვლევის პროცესში; მართავს დამოუკიდებლად სამუშაო პროცესს და ახალი სტრატეგიების მეშვეობით ავითარებს პროფესიულ ცოდნას.“

ექსპერტთა ვიზიტის დროს გამოთხოვილმა სამაგისტრო ნაშრომების უმრავლესობამ არ დატოვა შთაბეჭდილება, რომ მაგისტრანტი ადეკვატურად ფლობდა აკადემიური წერის ან „აკადემიური კეთილსინდისიერების“ უნარებს. ზოგიერთ ნაშრომს საერთოდ არ ჰქონდა შესაბამისი სამეცნიერო აპარატი, ბიბლიოგრაფია იყო გაუმართავი და არ არსებობდა მექანიზმი, რითაც შემოწმდებოდა, თუ რამდენად კეთილსინდისიერად იცავდა მაგისტრანტი აკადემიური წერის ნორმებს. შესაბამისად, ეს ბადებს ეჭვს, თუ რამდენად შესაბამისია აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმებთან სხვა ნაშრომებიც.

ამასთან, ისევე, როგორც საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, არ არის ცხადი, თუ რამდენად შეუძლია კურსდამთავრებულს, განიხილოს „დასავლური და აღმოსავლური ქრისტიანული ფილოსოფიური ტრადიციის ფუნდამენტური ტექსტები და მათი ინტერპრეტაციები, ასევე, მათ შესახებ არსებული სამეცნიერო თვალსაზრისები“. შესაძლოა, სწავლების მანძილზე სტუდენტები მართლაც კითხულობდნენ და აქტიურად აანალიზებდნენ პირველად ლიტერატურას, მაგრამ სილაბუსებში ეს არ ჩანს და სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია მხოლოდ მეორადი, ისიც, უმეტესწილად მხოლოდ ქართული და ხშირად მოძველებული ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები

- ინტერვიუს შედეგები
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები
- სასწავლო კურსების სილაბუსები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: რეკომენდებულია, რომ კლასტერში შემავალი ორივე პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს უახლეს მიღწევებს დარგში. რეკომენდებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა და ლექტორებმა განაახლონ სასწავლო მასალა ახალი თარგმანების და ლიტერატურის გათვალისწინებით.

კლასტერის საერთო რჩევები: მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: იმისთვის, რომ კურსდამთავრებულს შეეძლოს ორიგინალი ტექსტების (იგულისხმება მათი ქართული თარგმანები) განხილვა და მათზე კომპეტენტურად მსჯელობა, სავალდებულო მასალაში უნდა იყოს შეტანილი პირველწყაროები (ასევე, უახლესი ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა: სტატიები, კრებულები, მონოგრაფიები და ა.შ.) და სასემინარო მუშაობა უნდა გულისხმობდეს ამ წყაროების ნაწილობრივ ანალიზს მაინც.

რჩევ(ებ)ი: მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო)

რეკომენდაცი(ებ)ი: შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ბევრად უფრო მკაცრი მექანიზმი. უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად შეესაბამება შემდეგი სამაგისტრო ნაშრომები აკადემიური წერის ნორმებს. ასევე, იმისთვის, რომ კურსდამთავრებულს შეეძლოს ორიგინალი ტექსტების (იგულისხმება მათი ქართული თარგმანები) განხილვა და მათზე კომპეტენტურად მსჯელობა, სავალდებულო მასალაში უნდა იყოს შეტანილი პირველწყაროები და სასემინარო მუშაობა უნდა გულისხმობდეს ამ წყაროების, სულ მცირე, ნაწილობრივ ანალიზს.

რჩევ(ებ)ი: მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება არის ნათლად ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული და შეესაბამება სტანდარტებს. პირველ ეტაპზე ხდება პროგრამის შედეგების ჩამოყალიბება, შემდეგ ხდება კურიკულუმის ანალიზი, რასაც შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მოსდევს სწავლის შედეგების ანალიზი.

უსდ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციდან ირკვევა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით შემუშავდა კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პეროსნალთან თანამშრომლობით განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები და მათი გაზომვის პერიოდულობა. უსდ ახორციელებს კლასტერში წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულების პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ინტერვიუზე განმარტეს რომ, წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულები ეფუძნება მათ პრაქტიკას და არ არის გათვალისწინებული სხვა უსდ-ების კარგი პრაქტიკა.

კვლევითი და სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგები ფასდება გამჭვირვალედ. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს სწავლების სფეროსა და საფეხურის სპეციფიკას. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები ნაცნობია და ისინი იღებენ მხარდაჭერას უსდ-ს მხრიდან სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები
- კლასტერში წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების სამიზნე ნიშნულები
- ინტერვის შედეგები

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)[10]

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები: მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

[10] საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
საჭიროების მიხედვით, პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის მწკრივები *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მოდელზეა აგებული. კლასტერში გაერთიანებული პროგრამები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამების მოცულობა და კომპლექსურობა სწავლების საფეხურთან შესაბამისობაშია, სწავლების კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია, ხოლო პროგრამების შინაარსი შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ინდივიდუალურია. ძირითადი პროგრამების სავალდებულო სასწავლო კურსებს დაშვების წინაპირობები არა აქვთ. პროგრამების შემუშავების პროცესში აკადემიური პერსონალი აქტიურად იყო ჩართული, თუმცა ინტერვიუების შედეგებმა ნაკლებად აჩვენა სტუდენტთა და დამსაქმებელთა ჩართულობა აღნიშნულ პროცესში. ინტერნაციონალიზაციის მხრივ

პროგრამებს უფრო მეტად ესაჭიროება გაძლიერება (კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობა და ა.შ.).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს. აქედან ძირითადი პროგრამის მოცულობაა 180 კრედიტი, ხოლო დარჩენილი 60 კრედიტი წარმოადგენს დამატებით პროგრამას, ან თავისუფალ კომპონენტს. ძირითადი პროგრამის 180 კრედიტიდან სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობა – 40 კრედიტს, ხოლო თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა – 20 კრედიტს. ძირითადი პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს დაშვების წინაპირობები არა აქვთ. პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის მოცულობა და კომპლექსურობა სწავლების საფეხურთან შესაბამისობაშია, სწავლების კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია, ხოლო პროგრამის შინაარსი ინდივიდუალურია და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროგრამის სტრუქტურა, არსებითად, თანმიმდევრულია; თუმცა, ძირითადი პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს შორის შედის ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა „რელიგიათმცოდნეობა“ და „ორატორული ხელოვნება“. აღნიშნული კურსები თემატურად ნაკლებად უკავშირდება ფილოსოფიის ძირითად სპეციალობას.

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სასურველია უცხო ენის, მათ შორის კლასიკური ენების, სწავლების გაძლიერება. ამ მხრივ სასურველია უცხო ენების კრედიტ-მოცულობის გაზრდა პროგრამის თავისუფალ კომპონენტებში.

ინტერნაციონალიზაციის მხრივ პროგრამას უფრო მეტად ესაჭიროება გაძლიერება (კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობა და ა.შ.).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი;
- ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის მოცულობა არის 120 კრედიტი. ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა შეადგენს 105 კრედიტს (მათ შორის, საკურსო ნაშრომი - 5 კრედიტს, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტს). ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობა შეადგენს 15 კრედიტს. პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს, სწავლების კომპონენტზე დაშვების წინაპირობები

ადეკვატურია, პროგრამის შინაარსი ინდივიდუალურია და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამის სტრუქტურა, არსებითად, თანმიმდევრულია; თუმცა, ძირითადი პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს შორის შედის სასწავლო კურსი „რელიგია და კულტურა“, რომელიც თემატურად ნაკლებად უკავშირდება ფილოსოფიის ძირითად სპეციალობას.

დადებით გარემოებას წარმოადგენს სასწავლო კურსის „საკურსო ნაშრომის“ არსებობა, რომლის მნიშვნელობაზეც ინტერვიუების დროს ერთხმად მიუთითებდნენ როგორც სტუდენტები, ასევე, აკადემიური პერსონალიც.

ინტერნაციონალიზაციის მხრივ პროგრამას უფრო მეტად ესაჭიროება გაძლიერება (კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობა და ა.შ.).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი;
- ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერში შემავალ პროგრამებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- ინტერნაციონალიზაციის მხრივ პროგრამებს უფრო მეტად ესაჭიროება გაძლიერება (კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობა და ა.შ.).

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- სასწავლო კურსები „რელიგიათმცოდნეობა“ და „ორატორული ხელოვნება“ გადატანილი იქნეს არჩევით საგნებში; სოციალურ და პოლიტიკურ ფილოსოფიაში უფრო ფუნდამენტური განათლების მისაღებად სავალდებულო საგნებს დაემატოს სასწავლო კურსი „პოლიტიკური ფილოსოფია“.

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, რომ გაიზარდოს უცხო ენების კრედიტ-მოცულობა თავისუფალ კომპონენტებში.

პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- სასწავლო კურსი „რელიგია და კულტურა“ გადატანილი იქნეს არჩევით საგნებში.

რჩევ(ებ)ი:

- მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების ძირითად საერთო მახასიათებელს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სილაბუსებში გამოყენებული ძირითადი სასწავლო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა არ ასახავს დარგის თანამედროვე მიღწევებს არც ეროვნულ და არც საერთაშორისო დონეზე (მთელ რიგ შემთხვევებში მითითებული მასალა მოძველებულია, ან არაა საკმარისი კურსის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად; პრობლემურია, ასევე, მთელი რიგი სასწავლო კურსების შინაარსის შესაბამისობა მოცემული პროგრამის მიზნებთან), ასევე, ძირითად ლიტერატურაში იშვიათადაა გამოყენებული ორიგინალური შრომები, რაც კრიტიკული აზროვნების განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს. შესაბამისად, ზემოთქმულის გათვალისწინებით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, თუ რამდენად მოხერხდება ამ მიდგომის შემთხვევაში იმ სწავლის შედეგებზე გასვლა, რომლის მიღწევასაც მიზნად ისახავს კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა მთელ რიგ შემთხვევებში არასაკმარისია კურსით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. მაგალითად, სასწავლო კურსში „აღმოსავლური ფილოსოფია“ ძირითად ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ ორი წყარო: „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის ნარკვევები“ (ტ. 2, თბ., 1983) და ლაო ძის „დაო დე ძინი“ (თბ., 1983). საეჭვოა, რომ სტუდენტმა აღნიშნული წყაროების საფუძველზე ადეკვატური წარმოდგენა (განსაკუთრებით, ინდური ფილოსოფიის შესახებ) შეიქმნას აღმოსავლური ფილოსოფიის განვითარებისა და მისი თანამედროვე ტენდენციების შესახებ. აქვე აღსანიშნავია, რომ ძირითად ლიტერატურაში არ არის მითითებული უფრო ახალი სასწავლო მასალა (მაგალითად, მერი ჭელიძე, „ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია : (ინდოეთი, ჩინეთი)“, თბილისი, 2001 და სხვ.). გარდა ამისა, თემაში „დეკონსტრუქცია“ ლიტერატურად მითითებულია ლაო ძის „დაო დე ძინი“, რაც, ასევე, კითხვის ნიშნებს აჩენს თემატურ შესაბამისობასთან დაკავშირებით.

უახლესი ლიტერატურით განახლებას საჭიროებენ შემდეგი სასწავლო კურსები:

- „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ (მაგალითად, იხ. ახალი საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის გამოცემები: „ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე“, რედაქტორი თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2014 წ., 180 გვ.; „ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეების საქართველოში“, რედაქტორი თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2016 წ., 220 გვ.; თენგიზ ირემაძე, „შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია. სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად“. თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2019 წ.; თენგიზ ირემაძე „ახალი დროის

ქართული ფილოსოფია. სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად“. თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2020 წ.; თენგიზ ირემაძე „იოანე პეტრიწის ფილოსოფია“. თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2021 წ. http://ngu.edu.ge/research/publications-2/philosophy-and-theology-in-georgia).

- „შუა საუკუნეების ფილოსოფია“ (მაგალითად, ჯილიან ევანსი, „ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეებში“, თარგმნა დავით თინიკაშვილმა; რედ. თეიმურაზ ბუაძე, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014; კ. კანერტი, „ანსელმ კენტერბერიელი“, გერმანულიდან თარგმნა თ. ცოფურაშვილმა, კრებულში: მ. ბერიაშვილი/უ.რ. იეკი/ბ. მოიზიში (რედ.): „თავისუფლების ფილოსოფიის კლასიკოსები. პლატონიდან ჰაიდეგერამდე“, თბილისი 2011, გვ. 64-75; გ. ზედანია, „მისტიკური თეოლოგია“, კრებულში: თ. ცოფურაშვილი (რედ.), „ნეოპლატონიზმი: მოძღვრება და მისი რეცეფცია“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020 წ., გვ. 87-138; თ. ცოფურაშვილი, „როგორ ვისაუბროთ ღმერთზე? მაისტერ ეკჰარტის მეტაფიზიკის რამდენიმე წანამძღვარისათვის“, კრებულში: თ. ირემაძე/თ. ცხადაძე/გ. ხეოშვილი (რედ.), „შემეცნება და ზნეობა. ფილოსოფიური ესსეები“, თბილისი, 2012 წ., გვ. 24-45; თ. ცოფურაშვილი, “თეოლოგია და ლოგიკა: verbum-თეორია და modi significandi-ს შესახებ მოძღვრება სქოლასტიკის ეპოქაში”, კრებულში: თ. ცხადაძე (რედ.), „ფილოსოფია და ლოგიკა“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2017 წ., გვ. 45-72).
- „რელიგიის ფილოსოფია“ (მაგალითად, ჟან გრონდენი, „რელიგიის ფილოსოფია“, ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩიძე-ხოფერიამ; რედაქტორები: თ. ირემაძე, გ. თავაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2018 წ.; „ნეტარი ავგუსტინე: ქრისტიანობის მასწავლებელი“, რედაქტორი თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2017 წ.; „ჰეგელის რელიგიის ფილოსოფია“, კრებულის რედაქტორი თ. ირემაძე; თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2019 წ.; მიტროპოლიტი კალისტე (უეარი), „შესაქმის მართლმადიდებლური ხედვა“, ინგლისურიდან თარგმნა გ. ხუროშვილმა; რედაქტორები: მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), თ. ირემაძე; თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2019 წ.; ქრისტიანული ფილოსოფიის სათავეებთან - კლიმენტ ალექსანდრიელი, კაბადოკიელი მამები, გაიუს მარიუს ვიქტორინუსი, ნეტარი ავგუსტინე, ბოეციუსი. კრებულის რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ჰელმუტ შნაიდერი, გიორგი ხუროშვილი. თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2019 წ. http://ngu.edu.ge/research/publications-2/other-publications).
- „ახალი დროის ფილოსოფია“ (მაგალითად, მ. ბერიაშვილი, „იმანუელ კანტი“, კრებულში: მ. ბერიაშვილი/ უ. რ. იეკი/ ბ. მოიზიში (რედ.), „თავისუფლების ფილოსოფიის კლასიკოსები“, თბილისი 2011, გვ. 260-290; უ. რ. იეკი, „იოჰან გოტლიბ ფიხტე“ (გერმანულიდან თარგმნა თ. ცოფურაშვილმა), კრებულში: მ. ბერიაშვილი/ უ. რ. იეკი/ ბ. მოიზიში (რედ.), „თავისუფლების ფილოსოფიის კლასიკოსები“, თბილისი 2011, გვ. 179-206; „რა არის განმანათლებლობა? იმანუელ კანტი, მიშელ ფუკო“; თარგმ., რედ. და ბოლოსიტყვა გიგა ზედანიასი ; შესავ. გამოკვლევა გიგი თევზაძის, თბილისი: ილიას სახელმწ. უნივერსიტეტი, 2012 წ.; ჟან-ჟაკ რუსო, „ფილოსოფიური ტრაქტატები“, თარგმნა დ. ლაბუჩიძემ, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017 წ.).
- „სოციალური ფილოსოფია“ (მაგალითად, მიეთითოს თანამედროვე ელექტრონული რესურსი Socium.ge: http://socium.ge/index.php/socium-ge-library/klasik).

- „სიცოცხლის ფილოსოფია“ (მაგალითად, „სიცოცხლის ფილოსოფია. პრობლემები და პერსპექტივები“, რედაქტორ–შემდგენელნი: ლალი ზაქარაძე, მიხეილ გოგატიშვილი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009 წ., ფ. ნიცშე, „კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით“, თარგმნა გ. თავაძემ, თბილისი: გამომცემლობა „აქტი“, 2022 წ.; ხოსე ორტეგა ი გასეტი, „რა არის ფილოსოფია?“, თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, თბილისი: Carpe diem, 2018; ანრი ბერგსონი, „ცნობიერება და სიცოცხლე“, ფრანგ. თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ ; თბილისი, „არხე“, 2007 წ.; ანრი ბერგსონი, „ცნობიერების უშუალო მონაცემები“, თარგმნა ბ. ბრეგვაძე, თბილისი: „ნეკერი“, 1993 წ.).
- „XX საუკუნის ფილოსოფია“ (მაგალითად, დან ზაჰავი, „ჰუსერლის ფენომენოლოგია“. ინგლისურიდან თარგმნა გიგლა გონაშვილმა; სამეცნიერო რედაქტორი ლუკა ნახუცრიშვილი; ილიას სახელმწ. უნ-ტი, სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინ-ტი, 2016; იულია კრისტევა, “ჰანა არენდტი:სიცოცხლე ნარატივია”, მთარგმნ. თამარ ონოფრიენკო, რედ. ლ. ნახუცრიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2014; მაქს ჰორკჰაიმერი, თეოდორ ადორნო, „განმანათლებლობის დიალექტიკა“, თარგმნა დევი დუმბაძემ, თბილისი: „საგა“, 2012 წ., ჟან-პოლ სარტრი, „ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია“, თბილისი: გამომცემლობა „აქტი“, 2021 წ.,; ალბერ კამიუ, „სიზიფის მითი“, თარგმნა მ. ბალავაძემ, თბილისი: „აგორა“, 2017 წ.).
- „ნეოპლატონიზმი“ (მაგალითად, „ნეოპლატონიზმი: მოძღვრება და მისი რეცეფცია“, რედ. თ. ცოფურაშვილი, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021 წ.; იხ., ასევე, ნ. კოპალეიშვილი, „ნეტარი ავგუსტინეს ქრისტიანული პლატონიზმი“, http://www.petritsiportal.ge/ka/article/104 და სხვა სტატიები „პეტრიწის პორტალზე“, ლ. ალექსიძე, „ნეოპლატონიზმი: თავისუფლებისა და ნამდვილი მე-ს ძიებაში“, ლოგოსი 2019.
- „ცნობიერების ფილოსოფიური თეორია“ - ამ უკანასკნელში უახლესი ლიტერატურა ძირითადი ლიტერატურის სიიდან 1979 წლით თარიღდება (მაგალითად, „ცნობიერების ფილოსოფია: ქრესტომათია“, შემდგენელი: თამარ ცხადაძე, რედ.: ლ. მჭედლიშვილი, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013 წ.).

სასწავლო კურსში „შესავალი ფილოსოფიაში“ გვხვდება შემდეგი თემები: „ფილოსოფიური თეორიები: მატერიალიზმი და იდეალიზმი“, „ობიექტური და სუბიექტური მატერიალიზმი“, „გულუბრყვილო–სტიქიური მატერიალიზმი“ და სხვ. მსგავსი ტიპის თემები (მაგალითად, დიალექტიკურ მეთოდზე განსაკუთრებული აქცენტირება) ხშირად გხვდებოდა ფილოსოფიის საბჭოთა სახელმძღვანელოებში და იდეოლოგიურ შინაარსს ატარებდა. მაგალითად, თანამედროვე ფილოსოფიაში არ გვხვდება ხისტი დაყოფა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის. შესაბამისად, სასურველია, რომ სტუდენტებს ფილოსოფიის შესავალში მიეწოდოთ ისეთი თემები, რომლებიც უფრო ადეკვატურად ასახავს თანამედროვე ფილოსოფიაში არსებულ ტენდენციებს. შინაარსობრივად პრობლემურია, ასევე, სასწავლო კურსში „ფილოსოფიის სისტემურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“, ისეთი თემის შეტანა, როგორიცაა „სიცოცხლის ფილოსოფია“, რომელიც კონტექსტიდან ამოვარდნილად ჩანს. ასევე, კურსში „ეთიკა“ გაუგებარია ისეთი თემების არსებობა, როგორებიცაა „მანკიერებისა და გადმონაშთის ცნება; კლასობრივი ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბება“; „ზნეობის

კლასობრიობის პრინციპის დასმისა და გადაწყვეტის ალტერნატივები“, რომლებიც ტიპიურად საბჭოთა პერიოდის თემატიკებია.

სასწავლო კურსში „ესთეტიკა“, რომელიც, არსებითად წარმოადგენს შესავალს ესთეტიკაში, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიის საკითხებს ოთხი თემა ეთმობა: „ესთეტიკურის ძიება ანტიკურ ფილოსოფიაში; ქართული მითოლოგიური ესთეტიკის საკითხები“; „ქართული ნეოპლატონისტური ესთეტიკის საკითხები“; „სამყაროს სტრუქტურის ესთეტიკური პრინციპები ქართულ ნეოპლატონიზმში“ და „რენესანსის ხანის მხატვრული აზროვნების საკითხები საქართველოში; რუსთველის ესთეტიკური შეხედულებანი“. ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესწავლა, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, თუმცა ესთეტიკის შესავლის ზოგად კურსში ამ თემატიკის ასეთი განვრცობილი სახით წარმოდგენა კურსის მიზნის გათვალისწინებით, არ არის გამართლებული.

გაუგებარია, რატომ არის შეტანილი სასწავლო კურსი „რელიგიათმცოდნეობა“ ფილოსოფიის სავალდებულო დისციპლინათა ნუსხაში, რადგან მისი შინაარსი ნაკლებადაა ფილოსოფიური. შესაბამისად, არ არის ნათელი, თუ რა წვლილი შეაქვს მოცემულ საგანს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. იგივე შეიძლება ითქვას სასწავლო კურსზე „ორატორული ხელოვნება“.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთ სპეციფიკას წარმოადგენს სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითად ლიტერატურაში პირველადი წყაროების სიმწირე. სამაგისტრო დონეზე სწორედ პირველადი წყაროების წაკითხვა, მათი დამუშავება და ანალიზი წარმოადგენს იმ უნარების გამომუშავების აუცილებელ წინაპირობას, რაც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთია მოთხოვნილი **(განსაკუთრებით, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ პროგრამის მიზნებში მითითებულია, რომ პროგრამა მიზნად ისახავს, ჩამოუყალიბოს სტუდენტს „ფუნდამენტური ფილოსოფიური ტექსტების კითხვისა და ინტერპრეტაციის უნარი სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე“)**. შესაბამისად, მთელი რიგი სასწავლო კურსები საჭიროებენ ძირითად ლიტერატურაში პირველადი წყაროების ჩამატებას და უკვე არსებული წყაროების შევსებას. ეს სასწავლო კურსებია: „სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფიური კვლევის ასპექტები“ (აქ პირველადი წყაროებიდან მხოლოდ დიურკემია მითითებული), „არეოპაგიტიკა“ (აქ პირველადი წყაროებიდან მხოლოდ ნემესიოს ემესელია მითითებული, თუმცა თავად ფსევდო დიონისე-არეოპაგელი საერთოდ არ გვხვდება არც ძირითად და არც დამატებით ლიტერატურაში); „ჰუმანიზმის ფილოსოფია“ (აქ პირველადი წყაროებიდან პლატონი და ბ. ლატურია მითითებული); „ჰერმენევტიკა“ (აქ პირველადი წყაროებიდან მხოლოდ ჰაიდეგერია მითითებული).

პირველადი წყაროები **საერთოდ არაა მითითებული** შემდეგი სასწავლო კურსების ძირითად ლიტერატურაში: „სქოლასტიკა“, „გერმანული კლასიკური ფილოსოფია“, „აღმოსავლური აზროვნება“, „ისტორიის ფილოსოფია“, „თანამედროვე ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები“.

ზოგიერთ შემთხვევაში ძირითად ლიტერატურაში მითითებული წყაროები არასაკმარისია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. მაგალითად, სასწავლო კურსში „ანტიკური ეპოქის ფილოსოფიურ-მსოფლმხედველოებრივი პრობლემები“ ძირითად ლიტერატურაში მხოლოდ ორი წყაროა მითითებული: ზ. ხასაიას „ფილოსოფია (ისტორიული კურსი)“ (1991 წ.) და გ. თევზაძის „ანტიკური ფილოსოფია“ (1995 წ.). აღნიშნული წყაროები არასაკმარისია იმისთვის, რათა სტუდენტმა სამაგისტრო

დონის შესაბამისი ცოდნა შეიძინოს ანტიკური ეპოქის ფილოსოფიური პრობლემების შესახებ და სათანადო უნარები გამოიმუშავოს. ანალოგიური მდგომარეობაა სასწავლო კურსში „ქართული ფილოსოფიურ-ესთეტიკური კონცეფციები“: ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ორი წყარო: ზ. ხასაია, „ფილოსოფია (ისტორიული კურსი)“ (1991 წ.) და გ. თევზაძე, „ანტიკური ფილოსოფია“ (1995 წ.).

სასწავლო კურსში „მეცნიერების ფილოსოფია“ გვხვდება შემდეგი თემები: „რელიგიის არსი და გამოცხადების ჭეშმარიტება; ქრისტიანული მორალის ჰუმანიზმი“; „გამოჩენილ ღვთისმეტყველთა და ფილოსოფოსთა ნააზრევი რელიგიის, ფილოსოფიის და მეცნიერების ურთიერთობაზე“, „ბიბლია თეოცენტრიზმის შესახებ - ქრისტეცენტრული სამყარო; გული, როგორც უმაღლესი შემეცნების ორგანო“; „წმიდა წერილი,მოციქულთა ეპისტოლეები და ქრისტიანული აპოლოგეტიკა ცოდნისა და რწმენის შესახებ“; „ცოდნისა და რწმენის ურთიერთმიმართების საკითხი წინაქრისტიანულ ხანაში. ფილოსოფიური სკოლა ფაზისში და აეროპაგიტული მოძღვრება“; „იოანე პეტრიწის თარგმანი-პროკლეს ფილოსოფიური თხზულება „კავშირნი ღვთისმეტყველებისანი“ (ზოგადი მიმოხილვა)“; „ფილოსოფიური აზრი და ქართული რენესანსის საკითხები (XI-XIII სს.). ნეოპლატონიზმი - რენესანსული ჰუმანიზმის ფილოსოფიური საფუძველი“; „ფილოსოფიური აზრის განვითარება საქართველოში XVIII -ის მეორე ნახევრში; ანტონ პირველის მთარგმნელობითი და ორიგინალური მემკვიდრეობა“ და სხვ. მეცნიერების ფილოსოფია არ შემოიფარგლება მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხებით. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ ხდება ამ თემებზე ფოკუსირება სასწავლო კურსში. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი კურსის სახელწოდება იქნებოდა „მეცნიერება და რელიგია“, გაურკვეველი რჩება ისეთი თემების ადგილი სასწავლო კურსში, როგორებიცაა „იოანე პეტრიწის თარგმანი- პროკლეს ფილოსოფიური თხზულება „კავშირნი ღვთისმეტყველებისანი“ (ზოგადი მიმოხილვა)“; „ფილოსოფიური აზრი და ქართული რენესანსის საკითხები (XI-XIII სს.). ნეოპლატონიზმი - რენესანსული ჰუმანიზმის ფილოსოფიური საფუძველი“; „ფილოსოფიური აზრის განვითარება საქართველოში XVIII -ის მეორე ნახევრში; ანტონ პირველის მთარგმნელობითი და ორიგინალური მემკვიდრეობა“.

სასწავლო კურსის „რელიგია და კულტურა“ შინაარსიდან გამომდინარე, გაურკვეველია, თუ რა როლს ასრულებს აღნიშნული კურსი ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის გაწერილი შედეგების მიღწევაში, რადგან მისი შინაარსი, ძირითადად, დესკრიფციული და არაფილოსოფიურია.

დადებით გარემოებას წარმოადგენს არჩევით საგნებში ინგლისურენოვანი კურსის *Philosophy of Art* არსებობა, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში უცხო ენის ცოდნის გაღრმავებას და კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის კურიკულუმი
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერში შემავალ პროგრამებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერში შემავალ პროგრამებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- მეტი ყურადღება დაეთმოს ძირითად ლიტერატურაში ორიგინალური ნაშრომების შეტანას.
- განივრცოს და განახლდეს ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი შემდეგ სასწავლო კურსებში: „აღმოსავლური ფილოსოფია“, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, „შუა საუკუნეების ფილოსოფია“, „რელიგიის ფილოსოფია“, „ახალი დროის ფილოსოფია“, „სოციალური ფილოსოფია“, „სიცოცხლის ფილოსოფია“, „XX საუკუნის ფილოსოფია“, „ნეოპლატონიზმი“, „ცნობიერების ფილოსოფიური თეორია“ (შემოთავაზებული ლიტერატურის ჩამონათვალი იხ. ზემოთ).
- სასწავლო კურსში „აღმოსავლური ფილოსოფია“ თემაში „დეკონსტრუქცია“ გაიწეროს სათანადო ლიტერატურა.
- სასწავლო კურსში „შესავალი ფილოსოფიაში“, თემები „ფილოსოფიური თეორიები: მატერიალიზმი და იდეალიზმი“, „ობიექტური და სუბიექტური მატერიალიზმი“, „გულუბრყვილო–სტიქიური მატერიალიზმი“ ჩანაცვლდეს თანამედროვე ფილოსოფიურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული თემებით.
- სასწავლო კურსში „ფილოსოფიის სისტემურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“, თემა - „სიცოცხლის ფილოსოფია“ ჩანაცვლდეს კურსის შესაბამისი თემით. თავად კურსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს მეცნიერების ფილოსოფიის თანამედროვე ტენდენციებთან.
- სასწავლო კურსში „ეთიკა“, თემები - „მანკიერებისა და გადმონაშთის ცნება; კლასობრივი ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბება“; „ზნეობის კლასობრიობის პრინციპის დასმისა და გადაწყვეტის ალტერნატივები“ ჩანაცვლდეს თანამედროვე ეთიკური ტენდენციების ამსახველი თემებით.
- სასწავლო კურსიდან „ესთეტიკა“, თემები - „ესთეტიკურის ძიება ანტიკურ ფილოსოფიაში; ქართული მითოლოგიური ესთეტიკის საკითხები“; „ქართული ნეოპლატონისტური ესთეტიკის საკითხები“; „სამყაროს სტრუქტურის ესთეტიკური პრინციპები ქართულ

ნეოპლატონიზმში“ და „რენესანსის ხანის მხატვრული აზროვნების საკითხები საქართველოში; რუსთველის ესთეტიკური შეხედულებანი“ გადატანილი იქნეს სასწავლო კურსში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ან ქართული თემატიკის რაოდენობა შემცირდეს ერთ თემამდე და დანარჩენი თემები დაეთმოს თანამედროვე ესთეტიკის აქტუალური პრობლემების განხილვას.

- სასწავლო კურსები „რელიგიათმცოდნეობა“ და „ორატორული ხელოვნება“ გადატანილი იქნეს ფილოსოფიის არჩევითი კურსების სიაში.

რჩევ(ებ)ი: მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად პირველადი წყაროები დაემატოს შემდეგ კურსებს „სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფიური კვლევის ასპექტები“, „არეოპაგიტიკა“; „ჰუმანიზმის ფილოსოფია“; „ჰერმენევტიკა“; „სქოლასტიკა“, „გერმანული კლასიკური ფილოსოფია“, „აღმოსავლური აზროვნება“, „ისტორიის ფილოსოფია“, „თანამედროვე ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები“; „ანტიკური ეპოქის ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი პრობლემები“; „ქართული ფილოსოფიურ-ესთეტიკური კონცეფციები“.
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად გადაიხედოს სასწავლო კურსის „მეცნიერების ფილოსოფია“ შინაარსი.
- სასწავლო კურსი „რელიგია და კულტურა“ გადატანილი იქნეს არჩევით დისციპლინებში.

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, დამატებით ლიტერატურაში თანამედროვე უცხოურენოვანი სტატიების რაოდენობის გაზრდა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐

პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და ითვალისწინებს სწავლების საფეხურს, პროგრამების სპეციფიკას და შესაბამისი ცოდნის, უნარისა და კომპეტენციის მქონე პირების მიღებას. პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამებზე ჩარიცხვა შესაძლებელია გარე და შიდა მობილობით; უზრუნველყოფილია

საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი, ან მისი ეკვივალენტური განათლების მქონე და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელი პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები და ფლობს შესაბამის სერტიფიკატს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში პროგრამა ითვალისწინებს დაშვებას: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისა, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისა, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) პირებისა, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საბაკალვრო პროგრამა ითვალიწინებს გარე და შიდა მობილობით პროგრამაზე ჩარიცხვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- დაწესებულების ვებ-გვერდი
- ინტერვიუების შედეგები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

ფილოსოფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სამაგისტრო პროგრამაზე დასაშვებად ტარდება შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობასა და უცხო ენაში; საგამოცდო საკითხებისა და ჩატარების წესის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე - atsu.edu.ge, გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

უცხო ენის გამოცდისგან განთავისუფლდება ის აპლიკანტი, რომელიც წარმოადგენს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, ან ის პირი, რომელსაც შესაბამის ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია გარე და შიდა მობილობის წესით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- დაწესებულების ვებ-გვერდი
- ინტერვიუების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები: მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

რჩევ(ებ)ი: მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

რჩევ(ებ)ი: სასურველია, სპეციალობაში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საკითხების წინასწარ გამოქვეყნების ნაცვლად, უსდ-მ გამოაქვეყნოს ის ლიტერატურა/სახელმძღვანელო, რომელსაც უნდა გაეცნონ აპლიკანტები გამოცდის ჩასაბარებლად და საიდანაც იქნება შერჩეული საგამოცდო საკითხები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, სტუდენტებს გამოუმუშავებს პრაქტიკულ და კვლევით უნარ-ჩვევებს. სასწავლო კურსების სილაბუსებში დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე დეტალურადაა გაწერილი აქტივობები (ჯგუფში აქტიურობა, დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, ესე, რეფერატი, კვლევითი ნაშრომების მომზადება და სხვ.), რაც უდავოდ ორიენტირებულია კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე."

თუმცა წარმოდგენილ სილაბუსებში სწავლების ორივე საფეხურზე სტუდენტთა შეფასება სამ კომპონენტიანია, საიდანაც ორი საუნივერსიტეტო შუალედური და დასკვნითი გამოცდაა, რომლებიც, ფორმატიდან გამომდინარე, ცოდნის რეპროდუცირებას ემსახურება, მაგრამ ნაკლებად უვითარებს სტუდენტს კვლევით, ანალიტიკურ, ახალი ცოდნის წარმოებაზე ორიენტირებულ უნარებს. შეფასების ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა პრეზენტაცია, ესე, რეფერატი, კვლევითი ნაშრომების მომზადება სილაბუსებში აქტივობის კომპონენტის ქვეშაა გაერთიანებული ჯგუფში აქტიურობის, დისკუსიისა და დებატების გვერდით და არაა წარმოდგენილი შეფასების დამოუკიდებელ კომპონენტებად. შესაბამისად, სილაბუსებში არ ჩანს, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებულია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ კურსის მანძილზე ყველა სტუდენტმა ჩამოთვლილი ყველა ტიპის აქტივობა (დებატების გვერდით პრეზენტაციაც, ესეც, კვლევითი ნაშრომის მომზადებაც) განახორციელოს. ამისათვის სასურველია, რომ უნივერსიტეტის ცენტრალური ხარისხის სამსახურმა, ისევე როგორც ფაკულტეტის ხარისხის სამსახურმა, მეტი თავისუფლება მისცეს პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს სილაბუსებში დარგობრივად რელევანტური შეფასების კომპონენტების გასაწერად.

საბაკალავრო საფეხურზე აკადემიურ წერასთან დაკავშირებული უნარების განსავითარებლად სასურველია, პროგრამაში დამატებული იქნას სავალდებულო საბაკალვრო ნაშრომი.

მისასალმებელია, რომ სტუდენტების ექსტრაკურიკულურ აქტივობებში ჩართულობას ხელს უწყობს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება (2018-2019 სასწავლო წლიდან), რომლის თანახმადაც, სტიპენდიის დანიშვნის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს სტუდენტის კურიკულუმის გარე აქტივობა.

ინტერვიუებისას მრავალგზის ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება საჯარო ლექციები და კოლოქვიუმები ინტერდისციპლინურ თემატიკაზე „სამართალი, სახელმწიფო, პოლიტიკა, ეკონომიკა“ მოწვეული ქართველი და უცხოელი მკვლევრების მონაწილეობით, რომელშიც ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: დაიხვეწოს შეფასებითი კომპონენტებისათვის ხვედრითი წილის მინიჭების წესი, რათა გამოირიცხოს სხვადასხვა სირთულის კომპონენტებისთვის (მაგალითად, დისკუსია და პრეზენტაცია) ერთნაირი ხვედრითი წილის მინიჭება.

კლასტერის საერთო რჩევები: მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევ(ებ)ი: საბაკალავრო პროგრამაში დამატებული იქნას სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი.

პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევ(ებ)ი: მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული თვითშეფასების მიხედვით, სწავლის შედეგების მისაღწევად შერჩეული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. მეთოდები განსხვავებულია ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება წიგნზე მუშაობის და დემონსტრირების, ახსნა–განმარტებითი, წერითი მუშაობის, დისკუსია-დებატების, ინდუქციის და დედუქციის მეთოდი, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ისტორიული ანალიზის მეთოდი, გონებრივი იერიშის, ევრისტიკული მეთოდები და სხვ. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურადაა ჩართული მეთოდურ ტრენინგებში. სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების

შესაბამისად, კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების ფარგლებში შესაძლებელია ინდივიდუალური პროგრამის შედგენა.

თუმცა წარმოდგენილ სილაბუსებში არ ვხვდებით სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდებს, შებრუნებული საკლასო ოთახის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, პროექტზე დაფუძნებული სწავლების და სხვა ჯგუფური მუშაობის წამახალისებელი მეთოდების გამოყენებას.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები: სასურველია, ორივე სასწავლო საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები, კერძოდ, შებრუნებული საკლასო ოთახის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, პროექტზე დაფუძნებული სწავლების და სხვა ჯგუფური მუშაობის წამახალისებელი მეთოდები.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში (მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს) - არაუმეტეს 30 ქულა;

შუალედური გამოცდა- არანაკლებ 30 ქულა;

დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.

კლასტერული თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „შეფასების კომპონენტები განსხვავებულია თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით. მრავალფეროვანია სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.” თუმცა წარმოდგენილ სილაბუსებში შეფასების კომპონენტების ასეთ მრავალფეროვნებას ვერ ვხვდებით: შეფასების სამი კომპონენტიდან ორი საუნივერსიტეტო გამოცდაა, რომელიც

სტუდენტის მიერ ცოდნის რეპროდუცირებას ემსახურება, მაგრამ ნაკლებად უვითარებას მას ტრანსფერულ უნარებს. რაც შეეხება მესამე კომპონენტს, აქტივობას, ის მოიცავს ჯგუფში აქტიურობას, დისკუსიას, დებატებს, პრეზენტაციას, ესეს, რეფერატს, კვლევითი ნაშრომის მომზადებას, თუმცა აღნიშნული შეფასების კომპონენტში არ ჩანს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა იმის თავიდან არიდებას, რომ სტუდენტს, მხოლოდ ჯგუფში აქტიურობით, დისკუსიით და დებატებით არ დაეგროვებინა 30 ქულა. ამდენად სასურველია, რომ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურმა პროგრამაში ჩართულ პროფესორებს მისცეს დარგობრივად რელევანტური შეფასების კომპონენტების შერჩევის თავისუფლება, ასევე პრეზენტაციისა და ესეს ან კვლევითი ნაშრომის მომზადების კომპონენტი შეფასების დამოუკიდებელ კომპონენტებად იქნას გამოტანილი და მათ შეფასების სისტემაში მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს.

პროგრამაში კვლევით უნარებზე ორიენტირებული შეფასების კომპონენტების გაძლიერების მიზნით სასურველია, რომ საბაკალავრო პროგრამაში დამატებული იქნას სავალდებულო საბაკალვრო ნაშრომი.

როგორც საბაკალავრო, ასევე, სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში არსებული შეფასების კომპონენტების სიმწირე და მათ შედეგად სტუდენტებისთვის განვითარებული უნარები პროპორციულად იყო ასახული წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომებში, რომლებსაც კომისია ადგილზე გაეცნო.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: დაიხვეწოს შეფასებითი კომპონენტებისათვის ხვედრითი წილის მინიჭების წესი, რათა გამოირიცხოს სხვადასხვა სირთულის კომპონენტებისთვის (მაგალითად, დისკუსია და პრეზენტაცია) ერთნაირი ხვედრითი წილის მინიჭება.

კლასტერის საერთო რჩევები: მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (ფილოსოფია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: მოცემულ სტანდართან დაკაშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

რჩევ(ებ)ი: საბაკალავრო პროგრამაში დამატებული იქნას სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი.

პროგრამა 2 (ფილოსოფია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი: მოცემულ სტანდართან დაკაშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

რჩევ(ებ)ი: მოცემულ სტანდართან დაკაშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას. დაწესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის.

სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, რომელიც შეესაბამება მათ სასწავლო და კვლევის მიზნებს. ამ მიზნით უსდ ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: 1) ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ განთავსებულია უსდ-ს ვებ-გვერდზე, რომელიც საჯაროა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის; 2) პირველკურსელებთან ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები. მათ ასევე მიეწოდებათ ბროშურები ცნობარის სახით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სასწავლო და დამხმარე სერვისების შესახებ; 3) უსდ-ში მოქმედებს ჯგუფის კურატორებისა (აკადემიური პერსონალი) და ტუტორების (დამამთავრებელი კურსის სტუდენტები) პოზიციები, რომელნიც თანამშრომლობენ საბაკალავრო პროგრამის პირველი და მეორე კურსის სტუდენტებთან და მათ აწვდიან საჭირო ინფორმაციას. ტუტორების არჩევა ხდება კონკურსის გზით; 4) სტუდენტებს საშუალება აქვთ, გამოიყენონ აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციების შესაძლებლობა. კონსულტაციების გრაფიკი სტუდენტებთან შეთანხმების დგინდება; 5) კორპორატიული ელ-ფოსტის საშუალებით სტუდენტებს მიეწოდება ინფორმაცია კონსულტაციების შესახებ; ელ-ფოსტის მისამართი ყველა სტუდენტს გადაეცემა პირველ კურსზე რეგისტრაციის დროს; 6) უსდ-ს გააჩნია საკუთარი ვებ-გვერდი, გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook), აგრეთვე სპეციალური აპლიკაცია, რომელიც სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას სასწავლო პროცესის და უსდ-ს სიახლეების შესახებ; 7) სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ სასურველი ინფორმაცია მოითხოვოს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურიდან, აგრეთვე კორპორატიული ელ-ფოსტის მეშვეობით.

უსდ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს სთავაზობს კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. უსდ-ში ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური,

აგრეთვე სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც 2014 წელს შეიქმნა და რომელიც ახორციელებს ვაკანსიების მონიტორინგს, ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისთვის, დასაქმების ფორუმებში მონაწილეობას და ა.შ. უსდ მხარს უჭერს კურსდამთავრებულთა ქსელს.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის შიდა საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრირებას. ამაში მათ მხარს უჭერს აკადემიური პერსონალი და ტუტორის ინსტიტუტი. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში. უსდ-ში სტუდენტთა ინტერესების დაცვის მიზნით ფუნქციონირებს ომბუდსმენის ოფისი და სტუდენტური თვითმმართველობა. ეს უკანასკნელი ორგანიზებას უწევს სტუდენტთა შემოქმედებით, სპორტულ აქტივობებსა და დასვენების სერვისებს.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, აგრეთვე საერთაშორისო მობილობაში (მაგალითად, Erasmus+), თუმცა, უმჯობესი იქნება, თუ ამ მიმართულებით უსდ უფრო მეტ ძალისხმევას გამოიჩენს და სტუდენტს დაეხმარება საერთაშორისო პროექტებში უფრო აქტიურად მონაწილეობაში.

უსდ-ს ბიბლიოთეკა მდიდარია წიგნადი ფონდით, არსებობს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა. უნდა აღინიშნოს, უმჯობესი იქნება, თუ უსდ შექმნის იმ რესურსების ელექტორნულ ვერსიას, რომელთაც ითვალისწინებს სასწავლო კურსების სილაბუსები.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტში სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი
- დადგენილება № 39 (13/14) კურატორის უფლება-მოვალეობების დამტკიცების შესახებ
- ინტერვიუები
- პოტენციურ დამსაქმებლებთან დადებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები
- ვებგვერდი: www.atsu.edu.ge
- ინფორმაცია სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის შესახებ: https://atsu.edu.ge/index.php/studentsservice-info
- ინფორმაცია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის შესახებ: https://atsu.edu.ge/index.php/carrier-development-info

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები: 1) უსდ-მ უფრო მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს საერთაშორისო პროექტებში და მობილობაში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით;

2) უსდ-მ უნდა შექმნას უფრო მეტი ელექტორნული რესურსი სტუდენტებისთვის, უპირველეს ყოვლისა - სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებული მასალების ელექტორნული ვერსიები.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა

უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ში მოქმედებს მაგისტრანტის ხელმძღვანელის (და არსებობის შემთხვევაში - თანახელმძღვანელის) დანიშვნის, შეცვლის, უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის /თანახელმძღვანელობის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები. თითოეულ მაგისტრანტს შესაძლოა ჰყავდეს ხელმძღვანელი და საჭიროების/სურვილის შემთხვევაში ერთი ან ერთზე მეტი თანახელმძღვანელი. თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და მაგისტრანტთან შეთანხმების საფუძველზე. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ამავე უსდ-ს აკადემიური პერსონალი, ემერიტუს-პროფესორი, ან დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი. ერთმა პირმა ერთდროულად შესაძლოა უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 5 მაგისტრანტს. ხელმძღანელისა და სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევის, აგრეთვე ნაშრომის შექმნასთან და დაცვასთან დაკავშირებული საკითხები გაწერილია „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში“.

ხელმძღვანელი კონსულტაციას უწევს მაგისტრატურის სტუდენტებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება, სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა და სხვა. ასევე, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ უსდ-ს აკადემიურმა პერსონალმა/ხელმძღვანელებმა/თანახელმძღვანელებმა უფრო აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი მაგისტრანტებს სამაგისტრო ნაშრომის შექმნის პროცესში, რადგან სამაგისტრო ნაშრომების გაცნობის დროს გამოვლინდა აკადემიური წერის ნორმების დარღვევის ფაქტები.

უსდ-ს გააჩნია სამაგისტრო პროგრამაზე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და მაგისტრანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად წარმართვას. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და რაოდენობა იძლევა იმის საშუალებას, რომ მაგისტრანტებმა მიიღონ ხელმძღვანელთა სათანადო, კვალიფიციური მხარდაჭერა. ფილოსოფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 2 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 3 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ სპეციალისტებთან არის 9/3, ხოლო აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან - 12/4. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ იკვეთება, აქვს თუ არა უსდ-ს

ხელმძღვანელების საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, რაც ხელმძღვანელობის პროცესს უფრო ეფექტურს გახდიდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები
- ინფორმაცია პერსონალის მიმდინარე სემესტრული დატვირთვის შესახებ
- პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასების შედეგები
- დადგენილება #173 პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ
- აკადემიური პერსონალის CV-ები
- ინტერვიუები

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)**[11]	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**9**
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	**4**

[11] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

//დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	**9/4**
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა/თანახელმძღვანელებმა უზრუნველყონ მაგისტრანტების მიერ აკადემიური წერის შესაბამისი სტანდარტების და ხარისხის სამაგისტრო ნაშრომების მომზადება.

რეკომენდებულია, რომ უსდ-მ განავითაროს ხელმძღვანელების საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, რაც ხელმძღვანელობის პროცესს უფრო ეფექტურს გახდის.

კლასტერის საერთო რჩევები: მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☐	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის განსახორციელებლად საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა ხდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს №173 (28.02.2018) დადგენილებით „აწსუ-ში პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს: ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა, აკადემიური ჯგუფის საშუალო კვირეული დატვირთვა, ასოცირებული პროფესორის საშუალო კვირეული დატვირთვა.

ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელის კომპეტენცია დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით, მის მიერ წაკითხული სალექციო კურსებითა და გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებით, რომლებიც შესაბამისობაშია წარმოდგენილი პროგრამის სპეციფიკასთან. პროგრამების ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამების განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებასა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენციები. საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულ პირთა კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში მათ მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციებით, ხოლო მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნისა და კომპეტენციის ქონით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების სათანადო შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. გარდა ამისა, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევაში მონაწილეობას იღებს სათანადო რაოდენობის მქონე დამხმარე პერსონალი (ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ კლასში, სტუდენტურ სერვისებში, დეკანატში მომუშავე სპეციალისტები და სხვ.).

აკადემიური პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთის სქემა მოიცავს სასწავლო-საკონტაქტო, სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას და შეადგენს 1500 საათს. მათ შორის: ა) 500 სთ. - სასწავლო დატვირთვა (სასწავლო-საკონტაქტო, სასწავლო-მეთოდური, სასწავლო - ორგანიზაციული); ბ) 1000 სთ. - სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა. სასწავლო დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან კონსულტაციისთვის გამოყოფილი საათები. მაგისტრანტების რაოდენობა შესაბამისობაშია მათი ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვასთან.

თუმცა კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში არ არიან ჩართული ასისტენტ-პროფესორები, რაც პროგრამებში ახალგაზრდა მეცნიერთა არასაკმარის ინტეგრაციაზე მიუთითებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 3 პროფესორი (მათ შორის ერთი ემერიტუსი), 14 ასოცირებული პროფესორი და 16 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ სპეციალისტებთან შეადგენს 17/16, ხოლო აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან - 33/23-ს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. თუმცა, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში ასისტენტ-პროფესორების არარსებობა ახალგაზრდა მეცნიერთა არასათანადო ინტეგრაციაზე მიუთითებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 2 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი და 3 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ სპეციალისტებთან შეადგენს 9/3, ხოლო აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან - 12/4-ს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. თუმცა, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში ასისტენტ-პროფესორების არარსებობა ახალგაზრდა მეცნიერთა არასათანადო ინტეგრაციაზე მიუთითებს.

პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)[12]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[13]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[14]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

[12] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[13] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[14] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სულ აკადემიური პერსონალი	**33**			**17**
- პროფესორი	3	2	2	3
- ასოცირებული პროფესორი	14	5	5	14
- ასისტენტ-პროფესორი	0			
- ასისტენტი	0			
მოწვეული პერსონალი	16	0	0	_
სამეცნიერო პერსონალი				_

პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[15]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[16]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**9**	**5**	**5**	**9**
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	7	3	3	7
- ასისტენტ-პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	3			_
სამეცნიერო პერსონალი				_

[15] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[16] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა
- თანამდებობრივი ინსტრუქციების აღმწერი დოკუმენტი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაცია არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები: გაიზარდოს ასისტენტ-პროფესორების რაოდენობა კლასტერში წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებში, რათა ხელი შეეწყოს ახალგაზრდა მეცნიერთა კარიერულ განვითარებას და მათ ინტეგრაციას პროგრამებსა და კვლევით საქმიანობაში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არა აქვს.

რჩევ(ებ)ი: იხ. ზემოთ საერთო რჩევა კლასტერისთვის.

პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არა აქვს.

რჩევ(ებ)ი: იხ. ზემოთ საერთო რჩევა კლასტერისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი				

პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შეფასებას ითვალისწინებს მხოლოდ ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა (იხ. ქვემოთ).

პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)[17]			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[18]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	9	5	9
- პროფესორი	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	7	3	7
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი	3		_
სამეცნიერო პერსონალი			_

[17] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[18] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), ემერიტუს-პროფესორი, ან დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი. მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, რაც აისახება შესაბამის ოქმში (დეპარტამენტის სხდომა). სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელია, ჰყავდეს თანახელმძღვანელიც (კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე). ერთმა პირმა ერთდროულად შეიძლება უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 5 მაგისტრანტს. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების, თემატიკის და რეცენზენტების დამტკიცებას ახდენს ფაკულტეტის საბჭო და უნივერსიტეტის რექტორი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2018-2021 წლებში ფილოსოფია-რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე ფილოსოფიის მიმართულებით დაცული იქნა ორი სამაგისტრო ნაშრომი: ლევან გოგაბერაშვილი, „სუბსტანციალობის პრობლემა დემოკრიტეს, პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიაში“ (ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ბადრი ფორჩხიძე); სალომე ჩიქოვანი, „იოანე პეტრიწის ეთიკურ-ფილოსოფიური მოძღვრების ზოგიერთი ასპექტები“ (ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მანანა ბანძელაძე). ასევე, ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამაზე 2021-2022 წლებში დაცული იქნა ორი სამაგისტრო ნაშრომი: მარიან ონიანი, „ნიცშეს ქრისტიანული და ანტიქრისტიანული ეთიკური შეხედულებები“ (ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მანანა ბანძელაძე); შოთა ლაბაძე, „გვიანანტიკური და ადრექრისტიანული აზროვნების გასაყარზე (სტოიციზმი და ქრისტიანობა)“, (ხელმძღვანელი: მეცნ. დოქტორი ქეთევან პავლიაშვილი). სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს გამოქვეყნებული აქვთ (ძირითადად, ადგილობრივი) პუბლიკაციები, რომლებიც შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომების ზოგად თემატიკასა და მიმართულებას (შენიშვნა: დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო ქეთევან პავლიაშვილის პირადი საქმე). თუმცა, აღსანიშნავია, რომ არსებობს მთელი რიგი არსებითი ხარვეზები სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და ლიტერატურის წესთან დაკავშირებით: კერძოდ, თორნიკე ფოჩხუას სამაგისტრო ნაშრომში „ებრაული ეგზეგეტიკის პრობლემები პავლე მოციქულის ეპისტოლეების მიხედვით“ (ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი მედეა ბენდელიანი) მთელ რიგ შემთხვევებში დამოწმებულია ვიდეოლექციები და „ფეისბუქ-პოსტები“ (წყაროები: 10, 11, 17), ასევე, არამუშა ბმული Google Translate-დან; ასევე, შოთა ლაბაძის სამაგისტრო ნაშრომში „გვიანანტიკური და ადრექრისტიანული აზროვნების გასაყარზე (სტოიციზმი და ქრისტიანობა)“, (ხელმძღვანელი: მეცნ. დოქტორი ქეთევან პავლიაშვილი) გამოყენებულ წყაროებში დარღვეულია აკადემიური დამოწმების წესი, გვხვდება, მაგალითად, შემდეგი დამოწმება: ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“; სენეკა, „ნეტარი სიცოცხლისათვის“, ავრელიუსი მარკუს „ფიქრები“, ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი და ა.შ. (გამოცემის წლის, ადგილისა და გამომცემლის მითითების გარეშე), ხოლო ელექტრონულ რესურსებში 10-ზე მე შემთხვევაში წყაროდ

მითითებულია ვებ-გვერდი www.skachatreferat.ru, რომელიც აკადემიურ რესურსს საერთოდ არ წარმოადგენს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი
- მაგისტრანტთა ხელმძღვანელების პირადი საქმეები
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: მოცემულ კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები: მოცემულ კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა/თანახელმძღვანელებმა უზრუნველყონ მაგისტრანტების მიერ აკადემიური წერის შესაბამისი სტანდარტების და ხარისხის სამაგისტრო ნაშრომების მომზადება.

რჩევ(ებ)ი: სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებისას მეტი ყურადღება იქნეს მიქცეული აკადემიური ლიტერატურის დამოწმების წესზე.

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☐	☐	☐	☐

პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შესაფასებლად გამოიყენება სასწავლო წლის ფარგლებში წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება. აკადემიური პერსონალის სასწავლო-მეთოდურ მუშაობას ამოწმებს ფაკულტეტის დეკანატი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და რექტორის მოადგილე.

წლიური დატვირთვების შესრულების გარდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე რეგულარულად წარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება კოლეგიალური ურთიერთდასწრების საშუალებით. დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახდენენ ურთიერთდასწრების შედეგების ანალიზს, რის საფუძველზეც ხდება სწავლების პროცესში ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა. ინტერვიუების პროცესში კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა პერსონალმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის ურთიერთდასწრებამ ხელი შეუწყო გამოცდილების გაზიარებასა და პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

აკადემიური პერსონალი, ასევე, ფასდება სტუდენტთა გამოკითხვის მეშვეობით. სტუდენტების კმაყოფილების კვლევას ატარებს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. გამოკითხვა მოიცავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებასთან დაკავშირებულ კითხვებს; კერძოდ, სტუდენტის მიერ ფასდება სალექციო/პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხი, სწავლების თანამედროვე მეთოდების მრავალფეროვნება, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმების გამჭვირვალობა და ა. შ. თუმცა, ინტერვიუების პროცესში არ გამოკვეთილა, ითვალისწინებს თუ არა დაწესებულება შეფასების შედეგებს პერსონალის დაწინაურებისა და წახალისების მიზნით.

კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით დაწესებულება ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ტრენინგებზე და სამეცნიერო კონფერენციებზე მივლინება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები;

- ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება;
- უცხო ენის შემსწავლელი კურსები;
- საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება.

ინტერვიუების პროცესში პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა აღნიშნა, რომ მათ სრული მხარდაჭერა აქვთ უნივერსიტეტისგან სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის კუთხით (მაგალითად, ერთ-ერთმა პროფესორმა მიმდინარე წელს მონაწილეობა მიიღო თურქეთში, ართვინის უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე. მასთან ერთად იმყოფებოდა, ასევე, ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი, რომელმაც, ასევე, მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო კონფერენციაში). მიუხედავად ამისა, მთლიანობაში, უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გასაზრდელად, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამის კონკურენტუნარიანობასა და ეფექტურობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- ინდივიდუალური სასწავლო კურსების შეფასების ფორმა
- პერსონალის საქმიანობის შეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: მოცემულ სტანდართან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები: მოცემულ სტანდართან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევ(ებ)ი: სასურველია, უფრო ქმედითი ღონისძიებები გატარდეს პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გასაზრდელად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს კლასტერში დაჯგუფებულ საგამანათლებლო პროგრამებს საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კლასტერში დაჯგუფებული საგამანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსი (მისამართი: თამარ მეფის 59), ცენტრალური და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო კომპიუტერული ცენტრები, სამედიცინო პუნქტი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, პანდუსები (ინკლუზიური სტუდენტებისათვის) და ა.შ. აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო/სამეცნიერო ტექნოლოგიებით, სასწავლო და სალექციო ოთახებით. ტექნიკური აღჭურვილობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან სტანდარტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ბიბლიოთეკის ვებ-გვერდში გაერთიანებულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ძირითადი ინფორმაცია. მათ შორისაა ელექტრონული კატალოგი, ელექტრონული დაჯავშნა, ელექტრონული რესურსები, ბიბლიოთეკათშორისი სერვისი, წიგნების ელექტრონული შეკვეთა და სხვა. სტუდენტს შეუძლია, ელექტრონულად შეუკვეთოს მაქსიმუმ 5-6 წიგნი, რომლებიც შემდეგ მას სამკითხველო დარბაზში დახვდება. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი, რომლის ინტერფეისი ადვილად აღსაქმელია. საბიბლიოთეკო ელექტრონული სერვისები, ასევე, უზრუნველყოფს საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებთან წვდომას.

ბიბლიოთეკის წიგნადი და ციფრული ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. მათზე წვდომა შესაძლებელია, როგორც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან, ასევე მის მიღმა. მიუხედავად ამისა, კლასტერში გაერთიანებული პროგრამებისთვის საბიბლიოთეკო ფონდი მოისაკლისებს უახლეს ფილოსოფიურ ლიტერატურას ქართულ ენაზე (იხ. რეკომენდაციები 1.5 სტანდარტთან მიმართებით). ნაკლებადაა წარმოდგენილი, ასევე, უახლესი უცხოურენოვანი ლიტერატურაც.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა საბიბლიოთეკო ფონდებში ხელმისაწვდომია, თუმცა, როგორც 1.5 სტანდარტთან მიმართებით იქნა აღნიშნული, არსებით პრობლემას წარმოადგენს წიგნად ფონდებში ქართულ ენაზე უახლესი ფილოსოფიური ლიტერატურის არარსებობა. გარდა ამისა, როგორც ჩანს, საბაკალავრო დონეზე ინგლისური ენის სათანადო არცოდნის გამო, ნაკლებია სტუდენტების მიერ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენების მაჩვენებელი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში ხელმისაწვდომია, თუმცა, როგორც 1.5 სტანდარტთან მიმართებით იქნა აღნიშნული, არსებით პრობლემას წარმოადგენს უახლესი ფილოსოფიური ლიტერატურის არარსებობა წიგნად ფონდებში (ქართულ და უცხოურ ენებზე). სამაგისტრო ნაშრომებში დამოწმებული ლიტერატურის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მაგისტრანტები ნაკლებად იყენებენ უცხოურენოვან (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ) ლიეტარტურას და ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებს, რაც შესაძლოა, არასათანადო ენობრივი კომპეტენციით იყოს გამოწვეული.

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამისთვის უნიკალურ რესურსს წარმოადგენს ბიბლიოთეკის რარიტეტულ საცავში არსებული იშვიათი უცხოურენოვანი გამოცემები, რომელთაგან უმეტესობა თავისი შინაარსით ფილოსოფიური და თეოლოგიურია. სამწუხაროდ, მოცემული ეტაპისთვის ეს რესურსი პროგრამის მიერ ჯერჯერობით სათანადოდ არაა ათვისებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუების შედეგები
- ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი და საბიბლიოთეკო სერვისები (ელექტრონული)
- ბიბლიოთეკის რარიტეტული წიგნების განყოფილება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით.

კლასტერის საერთო რჩევები: მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული დარგობრივი ლიტერატურით.

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით.

რჩევ(ებ)ი: პროგრამის სამომავლო განვითარების კუთხით ყურადღება გამახვილდეს ბიბლიოთეკის რარიტეტული წიგნების განყოფილებაში არსებული ნაშრომების შესწავლაზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს აქვთ საკუთარი ბიუჯეტი. მთლიანი შემოსავალი შეადგენს 67 500 ლარს, ხოლო მთლიანი ხარჯები - 62 780 ლარს. აქედან აკადემიური პერსონალის ხელფასი (მათ შორის შტატის თანამშრომელთა ხელფასი, ხელშეკრულებით მოწვეულ პირთა ხელფასი და საათობრივად მოწვეულ პირთა ხელფასი) შეადგენს 42 380 ლარს, სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები (მათ შორის, სამეცნიერო მივლინებები, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების გამოქვეყნების, კვლევითი პროექტების, სამეცნიერო ლიტერატურის და სხვ. ხარჯი) – 6 000 ლარს, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის ხელფასი – 6 000 ლარს, სტიპენდია - 1000 ლარს, კომუნალური და საბიუჯეტო გადასახადები - 2 800 ლარს, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული

ხარჯი - 3 500 ლარს, სხვა ხარჯები (მათ შორის ღონისძიებებზე, ტრეინინგებზე, მასალებზე, მარაგებზე და სხვა) – 1 100 ლარს. ხარჯების სხვაობა არის დადებითი და პროგრამებიდან მიღებული შემოსავალი სრულად უზრუნველყოფს გასაწევი ხარჯების ანაზღაურებას. შესაბამისად, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)

დაწესებულების მიერ არის წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი. ბიუჯეტის ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამის მთლიანი შემოსავლები უტოლდება 40 500 ლარს (18 სტუდენტზე). აქედან პირდაპირი ხარჯები შეადგენს 28 740 ლარს, საიდანაც 25 740 ლარი არის აკადემიური პერსონალის ხელფასი (მათ შორის შტატის თანამშრომელთა ხელფასი, ხელშეკრულებით მოწვეულ პირთა ხელფასი და საათობრივად მოწვეულ პირთა ხელფასი), ხოლო სამეცნიერო კვლევის ხარჯი განისაზღვრება 3 000 ლარით (მათ შორის, სამეცნიერო მივლინებები, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების გამოქვეყნების, კვლევითი პროექტების, სამეცნიერო ლიტერატურის და სხვ. ხარჯი). პროგრამის არაპირდაპირი ხარჯი შეადგენს 8 900 ლარს, საიდანაც 3 000 ლარი არის ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის ხელფასი, 1 000 ლარი - სტიპენდია, კომუნალური და საბიუჯეტო გადასახადები - 1400 ლარი, ინფრასტრუქტურა - 2500 ლარი და სხვა ხარჯები (მათ შორის ღონისძიებებზე, ტრეინინგებზე, მასალებზე, მარაგებზე და სხვა) - 1000 ლარი. მთლიანობაში ხარჯები შეადგენს 37 640 ლარს. შესაბამისად, ხარჯების სხვაობა არის დადებითი და პროგრამიდან მიღებული შემოსავალი სრულად უზრუნველყოფს გასაწევი ხარჯების ანაზღაურებას, ამდენად საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

დაწესებულების მიერ არის წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი. ბიუჯეტის ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამის მთლიანი შემოსავლები უტოლდება 27 000 ლარს (12 სტუდენტზე). აქედან პირდაპირი ხარჯები შეადგენს 19 640 ლარს, საიდანაც 16 640 ლარი არის აკადემიური პერსონალის ხელფასი (მათ შორის შტატის თანამშრომელთა ხელფასი, ხელშეკრულებით მოწვეულ პირთა ხელფასი და საათობრივად მოწვეულ პირთა ხელფასი), ხოლო სამეცნიერო კვლევის ხარჯი განისაზღვრება 3 000 ლარით (მათ შორის, სამეცნიერო მივლინებები, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების გამოქვეყნების, კვლევითი პროექტების, სამეცნიერო ლიტერატურის და სხვ. ხარჯი). პროგრამის არაპირდაპირი ხარჯი შეადგენს 5 500 ლარს, საიდანაც 3 000 ლარი არის ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის ხელფასი, კომუნალური და საბიუჯეტო გადასახადები - 1400 ლარი, ინფრასტრუქტურა - 100 ლარი და სხვა ხარჯები (მათ შორის ღონისძიებებზე, ტრეინინგებზე, მასალებზე, მარაგებზე და სხვა) - 100 ლარი. მთლიანობაში ხარჯები შეადგენს 25 140 ლარს. შესაბამისად, ხარჯების სხვაობა არის დადებითი და პროგრამიდან მიღებული შემოსავალი სრულად უზრუნველყოფს გასაწევი ხარჯების ანაზღაურებას, ამდენად საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო პროგრამასთან შედარებით, სამაგისტრო პროგრამაზე სხვა ხარჯები 10-ჯერ დაბალია. სასურველი იქნებოდა, რომ ეს მაჩვენებელი, სულ მცირე, იგივე ყოფილიყო, რაც საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაშია. ასევე, სასურველია, რომ უფრო მეტი თანხმა იყოს გამოყოფილი სამეცნიერო-კვლევით ხარჯებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტი
- ინტერვიუების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები: მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევ(ებ)ი: მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევ(ებ)ი: სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში გაიზარდოს სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ხარჯები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აწსუ-ში წარმოდგენილია ერთიანი, საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო თითოეულ ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. თვითშეფასების ანგარიშში გაცხადებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უსდ-ში წარმოადგენს სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შიდა შეფასების სისტემას. უსდ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას“ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №49 (17/18), 09.02.2018, №39 (20/21), 15.07.2021, №8(21/22), 9.11.2021), რომელიც ითვალისწინებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის განვითარებას ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებითა და ავტონომიურობის დაცვით. ხარისხის შიდა სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას: 1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; 2. კვლევის განვითარების პოლიტიკა; 3. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა.

ვიზიტის ფარგლებში სხვადასხვა პანელზე ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა რომ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინირებას უწევს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცესს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის მხრივ

მოქმედებს PDCA პრინციპების შესაბამისად, რაც გულისხმობს, P (გეგმა) - დაგეგმვა; D (გააკეთოს) განხორციელება; C (შემოწმება) - შემოწმება; A (მოქმედება) - რეაგირება. აღნიშნული პრინციპები უზრუნველყოფს პროგრამის განვითარების, დამტკიცების და შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების მაქსიმალურ ჩართულობას. აღსანიშნავია ფაქტი, რომ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების დახვეწისა და მოდიფიცირების პროცესებში პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ინტერვიუს პროცესში აღწერა რომ, სასწავლო წლის დასაწყისში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად წარადგენს პროგრამის განახლებულ პაკეტებს. საგანმანათლებლო პროგრამებში ისახება უსდ-ს მიერ სასწავლო პროცესისა და შეფასების საკითხებზე მიღებული რეგულაციები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების ინიცირებისას ეფუძნება შიდა შეფასების შედეგებს, რაც დადასტურდა უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად. თუმცაღა პროგრამების ხარისხის გაზრდის მიზნით უნდა აღინიშნოს ფაქტი რაც ინტერვიეუბმა ცხადყო. მიუხედავად პერსონალის აქტიური ჩართულობისა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ღონისძიებებში მათ ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული შიდა შეფასების შედეგების გამოყენების მნიშვნელოვნება პროგრამების გაუმჯობესების პროცესებში. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის როგორც თავიანთი ინდივიდუალური შეფასებების უწყვეტი გაზიარება, ასევე ხარისხის სამსახურის მიერ პროგრამების გასაუმჯობესებლად გამოყენებული შეფასების შედეგების შესახებ ერთიანი ანგარიში.

საბოლოოდ, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა რომ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის ხელმძღვანელებისა და მისი განმახორციელებელი პერსონალისთვის ჩაატარა კონსულტაციები, ტრეინინგები, რათა პერსონალს განეხორციელებინა პროგრამის მოდიფიცირება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში. პირველ რიგში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა კვლევა, რომლის შედეგად გამოვლინდა რომ პერსონალის უმრავლესობა პროგრამების ხარისხის ამაღლებისათვის პრიორიტეტულ საკითხებად მიიჩნევდა კვალიფიკაციის ამაღლებას პროგრამაში და სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების გაწერასთან დაკავშირებით, კურიკულუმის რუკის შედგენას, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას. აღნიშნულ ტრენინგებს გეგმავენ და ახორციელებენ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ-ს თვითშეფასების ანგარიში;

- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკა (აკადემიური საბჭოს დადგენილება №49 (17/18), 9.02.2018, ცვლილებები პოლიტიკაში აკადემიური საბჭოს დადგენილებები №39(20/21), 15.07.2021 და №8 (21/22), 9.11.2021);
- ინტერვიუს შედეგები;
- აწსუ-ს შიდა შეფასების შედეგები.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის განმახორციელებელ თითოეულ პერსონალს უწყვეტად გაუზიაროს როგორც თავიანთი ინდივიდუალური შეფასებები, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოყენებული შეფასების შედეგების შესახებ ერთიანი ანგარიში.

კლასტერის საერთო რჩევები: მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აწსუ საგანმანათლებლო პროგრამების გარე ხარისხის შეფასების მიმართულებით თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და პარტინიორ უნივერსიტეტებთან. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოსოფია“ 2011 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები №47; 23.09.2011) და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოსოფია-რელიგიის კვლევები“ 2016 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები №126; 29.08.2016) აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გარე შეფასებით გაცემული რეკომენდაციები სრულად გაიზიარეს პროგრამების ხელმძღვანელებმა განმახორციელებელი აკადემიურ პერსონალთან ერთად. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს თვითშეფასების ანგარიშში მოცემულ განაცხადს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობის შესახებ.

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამებისთვის უსდ-მ განახორციელა გარე, კოლეგიალური შეფასებები. კერძოდ, შემფასებლებს წარმოადგენენ დემური ჯალაღონია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოსოფიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი) და დოქტორი აგნეშკა გრალინსკა-ტობორეკი - ლოძის უნივერსიტეტის ოქციდენტალისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი. უსდ-მ წარმოადგინა ორივე კოლეგიალური შეფასება, თუმცაღა, მსგავსი შეფასების ობიექტურობისა და გამჭვირვალობისთვის, სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავოს სტანდარტული გარე შეფასების ფორმა, რომელიც ყველა გარე შემფასებელ კოლეგას საშუალებას მისცემს ერთნაირი კრიტერიუმებით განახორციელოს შეფასება. ეს შესაძლებლობას იძლევა გაიზარდოს შეფასების ვალიდურობის ხარისხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუს-ს თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- აწსუ-ს გარე კოლეგიალური შეფასებები;
- კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები: გარე, კოლეგიალური შეფასებების ობიექტურობისა და გამჭვირვალობისთვის, სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავოს სტანდარტული გარე შეფასების ფორმა, რომელიც ყველა გარე შემფასებელ კოლეგას საშუალებას მისცემს ერთნაირი კრიტერიუმებით განახორციელოს შეფასება.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას, რომელიც მოიცავს ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებას, ანალიზს და შედეგების შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს და აანალიზებს შემდეგი დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებს:

I. სტუდენტი;

II. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;

III. დამსაქმებელი;

IV. კურსდამთავრებული.

თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაცია დადასტურდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად. კერძოდ, აღნიშნული გამოკითხვებისთვის კითხვარებს ადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელთაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. გამოკითხვის შედეგების ანალიზს აკეთებენ და შესაბამის რეკომენდაციებს გასცემენ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. ანალიზის შედეგები ეგზავნებათ შესანამის დეპარტამენტებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის მიწოდება პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის.

გარდა ამისა, პროგრამების შესაფასებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

I. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;

II. კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი;

III. პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, მოწვეული) განვითარების ანალიზი;

IV. კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის ანალიზი;

V. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ანალიზი;

VI. ურთიერთდასწრების პროცესის ანალიზი.

ვიზიტის ფარგლებში სხვადასხვა პანელში დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგად დადასტურდა თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაცია. უსდ რეალურად ახორციელებს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმოადგენლებთან გასაუბერბამ ცხადყო, რომ ისინი ახორციელებენ ჩამოთვლილი გამოკითხვების ანალიზს და მის გამოყენებას პროგრამების გასაუმჯობესებლად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გამოკითხვებისა და ანალიზის შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო წლის ბოლოს ადგენს საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშს, სადაც განიხილება პროგრამის განხორციელების სტატისტიკური მაჩვენებლები, პროგრამის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები, პროგრამის შიდა შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები, შესაბამისი ღონისძიებები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები, პრაქტიკა და სხვა აქტივობები.

საბოლოოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების დადარება ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. კერძოდ, შედარებულია შემდეგი ადგილობრივი უსდ-ების ანალოგ პროგრამებთან:

1) ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
3) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უსდ-მ ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოადგინა შედარებითი ანალიზის აღნიშნული დოკუმენტები და შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სასურველია ანალიზმა მოიცვას მოცემულ უნივერსიტეტებთან შედარების შედეგად გამოყენებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებიც.

თუმცაღა, პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია უსდ-მ ანალოგიური პროგრამების ანალიზისას გამოიყენოს უცხოური უნივერისტეტების საუკეთესო პრაქტიკაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუს თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკა (აკადემიური საბჭოს დადგენილება №49 (17/18), 9.02.2018, ცვლილებები პოლიტიკაში აკადემიური საბჭოს დადგენილებები №39(20/21), 15.07.2021 და №8 (21/22), 9.11.2021);
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის „ფილოსოფია“ თანხვედრა არის საქართველოს უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის „ფილოსოფია“ თანხვედრა არის საქართველოს უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია ანალოგიური პროგრამების შედარებითმა ანალიზმა მოიცვას მოცემულ უნივერსიტეტებთან შედარების შედეგად გამოყენებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებიც.

- პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია უსდ-მ ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზისას გამოიყენოს უცხოური უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკაც.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები: ფილოსოფია (საბაკალავრო საფეხური); ფილოსოფია (სამაგისტრო საფეხური).

პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

პროგრამა სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (ფილოსოფია, ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ფილოსოფია, მაგისტრატურა)	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

გიორგი თავაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თამარ ცოფურაშვილი

ნიკოლოზ ალექსიძე

ანი ქვათაძე



გიორგი არქანია